N 694
14/07/2022

694-01-3-202207141632

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს

დირექტორის პირველ მოადგილეს

ბატონ ნიკოლოზ გვენეტაძეს

ამავე სააგენტოს იურიდიული სამსახურის იურისტის

დავით კორტავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნიკოლოზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საავტომობილო ტრანსპორტის დარგში ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციისა და შემდგომი დანერგვის პროცესში გასატარებელი ღონისძიებების, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკისა და მექანიზმების სიღრმისეული შესწავლის მიზნით, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დელეგაცია კომპანია Euro Tachographs Solutions - ის კომერციული დირექტორის მიწვევით იმყოფებოდა 2022 წლის 8 მაისიდან 15 მაისის ჩათვლი ირლანდიაში, ქ. ვატერფორდში.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, საქართველოში რეგისტრირებული გადამზიდველი კომპანიებისათვის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული/დამკვიდრებული პრაქტიკის გაცნობის, აგრეთვე ტაქოგრაფის/სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობის რეფორმის მიმდინარეობისა და სატრანსპორტო საშუალებების საერთო სარგებლობის გზებზე შემოწმების განხორციელებისა და ხელშეწყობის მიზნით, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ხელშეწყობით დაიგეგმა ირლანდიის დელეგაციის ვიზიტი, საქართველოში.

შესაბამისად, 2022 წლის 17 ივლისიდან საქართველოში ჩამოდის აღნიშნული დელეგაცია, რომელშიც შედიან ირლანდიაში რეგისტრირებული კომპანიის Euro Tachographs Solutions - ის დირექტორი (სიარან ნუგენტ) და კომერციული დირექტორი (ალან ნუგენტ).

ვიზიტის ფარგლებში (17-23 ივლისი) სამუშაო შეხვედრები გაიმართება როგორც სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს თანამშრომლებთან, აგრეთვე საქართველოში რეგისტრირებულ სახელოსნოებთან/პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებთან და გადამზიდველ კომპანიებთან, რა დროსაც დაგეგმილია სადემონსტრაციო ჩვენებების განხორციელება.

ვიზიტის დროს იგეგმება კულტურული ღონისძიება, კერძოდ, სტუმრების ვიზიტი კახეთის რეგიონში (ერთი დღე) და ვახშამი, ამდენად, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის დეპარტამენტს უზრუნველყოს საორგანიზაციო საკითხები აღნიშნული კულტურული ღონისძიების ფარგლებში.

ამასთანავე, ვიზიტისას დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილე პირებისათვის, კერძოდ, სიარან ნუგენტ (Euro Tachographs Solutions - დირექტორი) და ალან ნუჯენტისთვის (Euro Tachographs Solutions - კომერციული დირექტორი), სიმბოლური სასაჩუქრე სუვენირების გადასაცემად გთხოვთ დაავალოთ შესაბამის დეპარტამენტს სასაჩუქრე სუვენირების შეძენა და საწყობიდან შემდეგი ნივთების გამოყოფა:

1. მოვერცხლილი ქართული ხელნაკეთი ხანჯალი დაფით - 2 ერთეული;
2. მცირე ზომის სურათი (თბილისის და გერგეთის ხედებით) მისაკრავი მაგნიტით - 4 ერთეული;
3. ჭაჭა „ფიჯი“ 0.75 ლ (სააგენტოს ლოგოტიპით) - 3 ერთეული;
4. მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა - 3 ერთეული.

დანართი - ინვოისი.

პატივისცემით,
იურიდიული სამსახურის იურისტი **დავით კორტავა**

LEPL Land transport agency
Digitally signed by LEPL Land transport agency
Date: 2022.07.18 11:18:51 +04'00'